შპს „ პროფიუნიტი“
LLC „ PROFUNITE “

საქართველო, ქ. ჭიათურა 5500
გ. თხელიძის ქ. №29
ტელ: 0 (479) 25-19-60, 5 77 234381
E-mail: profiuniti@gmail.com

Georgia, Chiatura 5500
G. Tkhelidze st. #29
Phone: 0 (479) 25-19-60 5 77 234381
E-mail: profiuniti@gmail.com

№17/25

08 აპრილი 2025წ.

ბრძანება #

კოლეჯში საზოგადოებრივი უსაფრთხოების, კოლეჯის საკუთრების დაცვის, დასაქმებულთა უსაფრთხოებისა და არასრულწლოვანთა დაცვის, ვიდეომონიტორინგის განხორციელების დროს დამუშავებული მონაცემების შენახვასთან, დაარქივებასთან, დაცვასა და გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირების მიზნით პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონისა და შპს ,,პროფიუნიტის“ შინაგანაწესის მე-16 მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. თანდართული ფორმით დამტკიცდეს **შპს პროფიუნიტის ,,ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესი“;**
2. დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სპეციალისტს - მარინა წერეთელს წინადებარე დოკუმენტის საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის გაცნობის უზრუნველყოფა.
3. ბრძანება შესაძლებელია გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საჩხერის რაიონულ სასამართლოში. (მის: ქ. საჩხერე, დ. აღმაშენებლის ქ. №3) კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

დანართი: 05 ფურცელი;

დირექტორი: /აკაკი გურჯიძე/

შპს „პროფიუნიტი“ * LLC „PROFIUNITI“ * 204436985

შპს „პროფიუნიტის“ ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. წინამდებარე წესის მიზანია შპს „პროფიუნიტში“ (შემდეგში - კოლეჯი)
   ა) ვიდეომეთვალყურეობის განხორციელების დროს დამუშავებული მონაცემის შენახვის, დაარქივების, დაცვისა და გამოყენების წესის განსაზღვრა.
   ბ) სამუშაო ადგილზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ვიდეომეთვალყურეობის განხორციელების დროს დამუშავებული მონაცემის შენახვის, დაარქივების, დაცვისა და გამოყენების წესის განსაზღვრა.
2. კოლეჯში ვიდეომეთვალყურეობა ხორციელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული რეგულაციის შესაბამისად, შენობების ვიდეოთვალთვალის, პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის, საიდუმლო ინფორმაციის დაცვის და გამოცდის/ტესტირების მიზნებისა და არასრულწლოვნის მავნე ზეგავლენისგან დაცვის მიზნით.

მუხლი 2. წესის მოქმედების სფერო და სამართლებრივი საფუძვლები

1. წინამდებარე წესი არეგულირებს კოლეჯის შენობა-ნაგებობების, ეზოს პერიმეტრის, შიდა სივრცის, მათ შორის, გამონაკლის შემთხვევებში სამუშაო და სასწავლო სივრცის ვიდეომეთვალყურეობის განხორციელების დროს დამუშავებული მონაცემის შენახვასთან, დაარქივებასთან, დაცვასთან და გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებს.
2. ამ წესის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, სხვა შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

მუხლი 3. ვიდეომონიტორინგის განხორციელების მიზნები

1. კოლეჯი ვიდეომონიტორინგს ახორციელებს შემდეგი მიზნით:
   - საზოგადოებრივი უსაფრთხოება
   - პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვა
   - არასრულწლოვნების დაცვა (მათ შორის, მავნე ზეგავლენისგან დაცვა)
2. კოლეჯის შენობა-ნაგებობების გარე პერიმეტრზე, დერეფნებსა და საერთო სივრცეებში არსებული ვიდეომონიტორინგის მიზანს წარმოადგენს საზოგადოებრივი უსაფრთხოების, პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვა; კოლეჯის ადგილმდებარეობისა და შენობა-ნაგებობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ვიდეომეთვალყურეობის გარეშე ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მიზნების მიღწევა შეუძლებელია.
3. სამუშაო სივრცეში ვიდეომონიტორინგი ხორციელდება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, მაშინ როცა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მიზნების მიღწევა სხვა ალტერნატიული საშუალებით შეუძლებელია.

მუხლი 4. ვიდეომეთვალყურეობის განხორციელების ძირითადი პრინციპები

1. ვიდეომეთვალყურეობის განხორციელებისას მონაცემები უნდა დამუშავდეს სამართლიანად და კანონიერად, მონაცემთა სუბიექტის ღირსების შეულახავად.
2. ვიდეომეთვალყურეობის განხორციელებისას მონაცემები უნდა დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რაც აუცილებელია ამ წესით განსაზღვრული მიზნის მისაღწევად.
3. მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისათვის.

4. დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით.
5. ვიდეომეთვალყურეობის განხორციელებისას დამუშავებული მონაცემები უნდა იყოს ამ წესით განსაზღვრული მიზნის ადეკვატური და პროპორციული.
6. ვიდეომეთვალყურეობის განხორციელებისას დამუშავებული მონაცემი ინახება მხოლოდ იმ ვადით, რაც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად, ამ წესის მე-5 მუხლის შესაბამისად.
7. დაუშვებელია ვიდეომეთვალყურეობის განხორციელებისას დამუშავებული მონაცემის უკანონოდ გამჟღავნება ან ნებისმიერი ფორმით უკანონოდ გამოყენება

მუხლი 5. ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესი და მოცულობა

1. კოლეჯის შენობა-ნაგებობების ვიდეომეთვალყურეობა გულისხმობს შენობა-ნაგებობების გარე და შიდა პერიმეტრისა და შესასვლელის მონიტორინგის განხორციელებას რეალურ დროში 24 საათიან რეჟიმში კვირაში 7 დღის განმავლობაში.
2. კოლეჯის შიდა პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოთვალთვალის სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს კოლეჯის ყველა დერეფნის, შესასვლელის (ფოიე) და კიბის უჯრედის ვიდეოდაკვირვებისა შესაძლებლობას.
3. კოლეჯის შენობა-ნაგებობების, აგრეთვე კოლეჯის სამუშაო ადგილზე ვიდეომეთვალყურეობის განხორციელების შემთხვევაში, კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნის თვალსაჩინო ადგილას განთავსება. ამ შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტი (ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომლის შესახებ მონაცემიც მუშავდება) მის შესახებ მონაცემთა დამუშავების თაობაზე ინფორმირებულად ითვლება.
4. სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალის სისტემის დაყენება შეიძლება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, თუ ეს აუცილებელია პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის, საიდუმლო ინფორმაციის დაცვის და გამოცდის/ტესტირების მიზნებისათვის და თუ ამ მიზნების სხვა საშუალებით მიღწევა შეუძლებელია.
5. კოლეჯში სამუშაო ადგილზე ვიდეომეთვალყურეობის განხორციელების შემთხვევაში დასაქმებული ყველა პირი შესაბამისი ფორმით უნდა იყოს ინფორმირებული ვიდეოთვალთვალის განხორციელებისა და მისი უფლებების შესახებ.
6. კოლეჯის შენობა-ნაგებობების, აგრეთვე კოლეჯის სამუშაო ადგილზე ვიდეომეთვალყურეობას უშუალოდ ახორციელებს კოლეჯის დირექტორის მიერ საამისოდ განსაზღვრული პირ(ებ)ი - კერძოდ შესაბამის ცვლაში მომუშავე დარაჯი (შემდგომში - დირექტორის მიერ საამისოდ განსაზღვრული პირ(ებ)ი).
7. კოლეჯის შენობის, აგრეთვე კოლეჯის სამუშაო ადგილზე ვიდეომეთვალყურეობის განხორციელებისას, შესაბამისი ტექნიკური საშუალების ეკრანზე გამოსახული მონაცემის რეალურ დროში ნახვისა და დაკვირვების უფლება აქვს მხოლოდ კოლეჯის დირექტორის მიერ საამისოდ განსაზღვრულ პირ(ებ)ს.
8. დაუშვებელია ვიდეომონიტორინგის განხორციელება გამოსაცვლელ ოთახებში, ჰიგიენისთვის განკუთვნილ ადგილებში ან ისეთ სივრცეში, სადაც სუბიექტს პირადი ცხოვრების დაცულობის გონივრული მოლოდინი აქვს ან/და ვიდეომონიტორინგის განხორციელება საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს ეწინააღმდეგება.
9. ვიდეოჩანაწერის მიმართ განხორციელებული ნებისმიერი ქმედება, მათ შორის დათვალიერება, გადმოწერა და წაშლა აღირიცხება (ლოგირება).
10. ვიდეომონიტორინგის სისტემა იძლევა მხოლოდ ვიზუალური მონიტორინგის შესაძლებლობას.

მუხლი 6. ვიდეომეთვალყურეობის განხორციელებისას დამუშავებული მონაცემის დაცვის, შენახვის, დაარქივებისა და გამოყენების წესი

1. კოლეჯის შენობა-ნაგებობების და კოლეჯის სამუშაო ადგილზე, ვიდეომეთვალყურეობის განხორციელებისას დამუშავებული მონაცემი ინახება კოლეჯის შენობაში დარაჯის ოთახში განთავსებულ სერვერზე.
2. კოლეჯის შენობა-ნაგებობების, აგრეთვე კოლეჯის სამუშაო ადგილზე ვიდეომეთვალყურეობის განხორციელებისას დამუშავებული მონაცემი ინახება კოლეჯში დაცულ ადგილზე, სადაც უზრუნველყოფილია ამ მონაცემზე მხოლოდ იმ პირთა დაშვება, რომელიც განსაზღვრულია ამ წესის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტით.
3. კოლეჯის შენობა-ნაგებობების, აგრეთვე კოლეჯის სამუშაო ადგილზე ვიდეომეთვალყურეობის განხორცილებისთვის აუცილებელი შესაბამისი ტექნიკური საშუალებების მოწყობას, მათ გამართულ ფუნქციონირებას, ვიდეომეთვალყურეობის განხორციელებისას დამუშავებული მონაცემის შენახვას და ისეთ პირობებში დაცვას, რაც გამორიცხავს აღნიშნული მონაცემის დაკარგვას, მისი ნებისმიერი ფორმით უკანონოდ გამოყენებას, ისეთი პირების მასზე წვდომას, რომლებიც არ არიან განსაზღვრული ამ წესის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტით, უშუალოდ უზრუნველყოფს კოლეჯის IT სპეციალისტი/საამისოდ უფლებამოსილი პირი.
4. კოლეჯის შენობა-ნაგებობების, აგრეთვე კოლეჯის სამუშაო ადგილზე ვიდეომეთვალყურეობის განხორციელებისას დამუშავებული მონაცემი ინახება ფაილური სისტემის სახით. ჩანაწერების გარდა, აღნიშნული სისტემა შეიცავს ინფორმაციას მონაცემთა დამუშავების თარიღის და დროის შესახებ.
5. კოლეჯის შენობა-ნაგებობების, აგრეთვე კოლეჯის სამუშაო ადგილზე ვიდეომეთვალყურეობის განხორციელებისას დამუშავებული მონაცემის ნებისმიერი ფორმით უკანონოდ გამოყენების, ამ მონაცემთან დაკავშირებით „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, პასუხისმგებლობა ეკისრება კოლეჯს.
6. კოლეჯის შენობა-ნაგებობების, აგრეთვე კოლეჯის სამუშაო ადგილზე ვიდეომეთვალყურეობის განხორციელებისას დამუშავებულ და შენახულ მონაცემზე წვდომის უფლება აქვს კოლეჯის დირექტორს და ამ წესის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულ პირ(ებ)ს.
7. კოლეჯის შენობა-ნაგებობების, აგრეთვე კოლეჯის სამუშაო ადგილზე ვიდეომეთვალყურეობის განხორციელებისას დამუშავებული მონაცემის ჩაწერა და შენახვა მიმდინარეობს ავტომატურ რეჟიმში, რა დროსაც ჩამწერი მოწყობილობის მეხსიერების შევსებისას ხორციელდება ახალი ინფორმაციის ჩაწერა ამავე მოწყობილობის მეხსიერებაზე არსებული ინფორმაციის განადგურების შედეგად.
8. ამ მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად კოლეჯის შენობა-ნაგებობების, აგრეთვე კოლეჯის სამუშაო ადგილზე ვიდეომეთვალყურების განხორციელებისას დამუშავებული მონაცემი, ავტომატურ რეჟიმში განადგურებამდე, ინახება 30 დღის ვადით.
9. კოლეჯის შენობა-ნაგებობების, აგრეთვე კოლეჯის სამუშაო ადგილზე ვიდეომეთვალყურების განხორციელებისას დამუშავებული მონაცემი გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.
10. თუ კოლეჯის შენობა-ნაგებობების, აგრეთვე კოლეჯის სამუშაო ადგილზე ვიდეომეთვალყურეობის განხორციელებისას დამუშავებული მონაცემი შეიცავს ისეთ ინფორმაციას, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას სასამართლოში სამოქალაქო, ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების მიზნებისთვის,

კოლეჯის დირექტორის ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილი პირის მოთხოვნის საფუძველზე, უშუალოდ კოლეჯის IT სპეციალისტი/საამისოდ უფლებამოსილი პირი უზრუნველყოფს ამ მონაცემის დაარქივებას შესაბამის შემნახავ საშუალებაზე (კომპაქტ დისკი, USB მეხსიერების მოწყობილობა და ა.შ.) ჩაწერის გზით.

11. ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებულ შეთხვევაში, კოლეჯის შენობა-ნაგებობების, აგრეთვე კოლეჯის სამუშაო ადგილზე ვიდეომეთვალყურეობის განხორციელებისას დამუშავებული და დაარქივებული მონაცემის შესაბამისი პირისთვის გადაცემას, მისი სამართალწარმოების მიზნებისთვის გამოსაყენებლად, კოლეჯის IT სპეციალისტი/საამისოდ უფლებამოსილი პირი უზრუნველყოფს კოლეჯის დირექტორის მიერ გაცემული თანხმობის/გადაწყვეტილების საფუძველზე.
12. ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დაარქივებული მონაცემის სამართლდამცავი ორგანოს წარმომადგენლისთვის გადაცემას სამართალწარმოების მიზნებისთვის გამოსაყენებლად, კოლეჯის IT სპეციალისტი/საამისოდ უფლებამოსილი პირი უზრუნველყოფს კოლეჯის დირექტორის თანხმობის შემთხვევაში სამართლდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილი საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სამართლებრივი საფუძვლის მიხედვით.
13. ამ მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად დაარქივებული მონაცემი ინახება სამართალწარმოების დასრულებამდე, ხოლო სამართალწარმოების დასრულების დღეს ნადგურდება დაუყოვნებლივ.
14. ამ მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად დაარქივებულ მონაცემს ანადგურებს უშუალოდ კოლეჯის IT სპეციალისტი/საამისოდ უფლებამოსილი პირი კოლეჯის დირექტორის მიერ განსაზღვრული სხვა პირის მონაწილეობით.
15. ამ მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად დაარქივებულ მონაცემის განადგურების დროს დგება განადგურების შესახებ აქტი, რომელსაც ხელს აწერენ კოლეჯის IT სპეციალისტი/საამისოდ უფლებამოსილი პირი, კოლეჯის დირექტორის მიერ ამ მუხლის მე-14 პუნქტით განსაზღვრული პირი.

მუხლი 7. მონაცემთა სუბიექტის უფლებები

1. ვიდეომონიტორინგის ფარგლებში, მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია:
   1.1. დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მოსთხოვოს იმის დადასტურება, მუშავდება თუ არა მის შესახებ მონაცემები;
   1.2. მიიღოს ინფორმაცია ამ მონაცემის დამუშავების საფუძვლისა და მიზნის შესახებ;
   1.3. მიიღოს ინფორმაცია ამ მონაცემთა შენახვის ვადის (დროის) შესახებ;
   1.4. მიიღოს ინფორმაცია მონაცემთა მიმღების ვინაობის ან მონაცემთა მიმღებების კატეგორიების შესახებ, მათ შორის, ინფორმაცია მონაცემთა გადაცემის საფუძვლისა და მიზნის თაობაზე, თუ მონაცემები მესამე პირს გადაეცემა;
   1.5. დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მოსთხოვოს მის შესახებ მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა, წაშლა ან განადგურება;
   1.6. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მოსთხოვოს მონაცემთა დაბლოკვა, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი გარემოება:
      1.6.1. მონაცემთა სუბიექტი სადავოს ხდის მონაცემების ნამდვილობას ან სიზუსტეს.
      1.6.2. მონაცემთა დამუშავება უკანონოა, თუმცა მონაცემთა სუბიექტი ეწინააღმდეგება მათ წაშლას და ითხოვს მონაცემთა დაბლოკვას.
      1.6.3. მონაცემები საჭირო აღარ არის მათი დამუშავების მიზნის მისაღწევად, თუმცა მონაცემთა სუბიექტს ისინი სჭირდება საჩივრის/სარჩელის წარსადგენად.

1.6.4. მონაცემთა სუბიექტი მოითხოვს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტას, წაშლას ან განადგურებას და მიმდინარეობს ამ მოთხოვნის განხილვა;

1.6.5. არსებობს მონაცემების მტკიცებულებად გამოყენების მიზნით შენახვის აუცილებლობა.

1.7. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირთან გაეცნოს მის შესახებ არსებულ პერსონალურ მონაცემებს და უსასყიდლოდ მიიღოს ამ მონაცემების ასლები.

1.8. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებებისა და დადგენილი წესების დარღვევის შემთხვევაში, ამავე კანონით დადგენილი წესით მიმართოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, სასამართლოს ან/და ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს.

2. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია მიიღოს მისი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა. ეს ვადა განსაკუთრებულ შემთხვევებში და სათანადო დასაბუთებით შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღით, რის შესახებაც მონაცემთა სუბიექტს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს.

3. ვიდეომონიტორინგის პროცესში მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია, მიმართოს კოლეჯის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს.

მუხლი 8. მონაცემთა უსაფრთხოება

1. კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, ვიდეომონიტორინგის მეშვეობით დამუშავებული მონაცემის (ვიდეოჩანაწერის) მესამე პირზე გაცემას უზრუნველყოფს კოლეჯის IT სპეციალისტი/საამისოდ უფლებამოსილი პირი უზრუნველყოფს კოლეჯის დირექტორის მიერ გაცემული თანხმობის/გადაწყვეტილების საფუძველზე.

2. კოლეჯი აღრიცხავს, კანონმდებლობის შესაბამისად მესამე პირისთვის ვიდეოჩანაწერის გადაცემის შემთხვევებს.

3. ამ წესის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულ პირებს, ვიდეოჩანაწერზე წვდომა აქვთ სპეციალური მომხმარებლისა და პაროლის შეყვანის გზით.

4. ვიდეომონიტორინგის მეშვეობით დამუშავებული მონაცემის არამართლზომიერი ხელყოფისა და გამოყენებისგან დაცვის მიზნით, მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს ვიდეოჩანაწერებზე წვდომის თითოეული შემთხვევის აღრიცხვას, მათ შორის, წვდომის დროისა და მომხმარებლის სახელის აღრიცხვას, რომელიც წვდომის განმახორციელებელი პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას იძლევა.

5. ვიდეომონიტორინგის მეშვეობით დამუშავებული პერსონალური მონაცემის განადგურება ხორციელდება:

5.1. ამ წესის მე-6 მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული ვადის გასვლისთანავე.

5.2. ამ წესის მე-6 მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

5.3. ამ წესის მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის 1.5 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

6. დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია ვიდეომონიტორინგის მიმდინარეობის შესახებ გამაფრთხილებელი ნიშანი თვალსაჩინოდ განათავსოს, ხოლო დასაქმებული პირის სამუშაო პროცესის/სივრცის ვიდეომონიტორინგის შემთხვევაში –

დამატებით დასაქმებული პირი წერილობით გააფრთხილოს ვიდეომონიტორინგის კონკრეტული მიზნის (მიზნების) შესახებ.